მერვედფინალში: “დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი)

1 აპრილი სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის განმეორებით შეხვედრათა დღე იყო. გამოვლინდა მერვედფინალის 15 მონაწილე.

თბილისის “დინამომ”, რომელსაც პირველი მატჩი კუიბიშევის “კრილია სოვეტოვთან” საკუთარ მინდორზე მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0, სტავროპოლში შეასრულა თავისი “პროგრამა–მინიმუმი” და ფრედ დაამთავრა შეხვედრა – 0:0. მატჩი მიმდინარეობდა მშვიდად, მინდვრის შუაგულში და სახიფათო მომენტებიც ორივე კართან ნაკლებად იქმნებოდა. კუიბიშეველთა ცდა – გამოესწორებინათ პირველი მატჩის დანაკარგი, უშედეგოდ დამთავრდა. თბილისის “დინამო” გავიდა მერვედფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნება მოსკოვის “სპარტაკი”.

“ლელო”, 3 აპრილი, 1973 წ.